

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის

სტუდენტთა გზამკვლევი
(2016-2017 სასწავლო წელი)

წინამდებარე „ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა გზამკვლევი“ შედგენილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებიდან ამონარიდების სახით (აქტების სრული ვერსია გზამკვლევის დანართების სახით განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge)

საგანმანათლებლო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამა არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულისათვის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გათვალისწინებული იყოს 60 კრედიტზე.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მოცულობაა 360 კრედიტი, დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს. დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

დამატებითი სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შემოკლებულ ვარიანტს. იგი არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და გამიზნულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განსავითარებლად.

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა (სამართალმცოდნეობა, სამედიცინო და პედაგოგიური) ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისთვის და ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

სწავლის საფასური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის ოდენობა (ტარიფი) განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

სწავლის საფასურის გადახდის საფუძველია ბსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსი.

ბსუ-ს სტუდენტი, რომელმაც ვერ მოიპოვა სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი, ვალდებულია სწავლის საფასური გადაიხადოს (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია) შემდეგი რეკვიზიტების გათვალისწინებით: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE 22; მიღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7

სტუდენტი ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში, რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში (ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 19 აგვისტოს N01-08/44 ბრძანება) გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის საფასური. ადმინისტრაციული რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“-ს შესაბამისად (იხილეთ დანართი 3).

სტუდენტის სწავლის დაფინანსება

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები).

სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება, თუკი სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილისწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს.ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს (დანართი 3-ის მე-7 მუხლი)

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით (დანართი 3, დანართი 8)

სტუდენტის დატვირთვა და აკადემიური რეგისტრაცია

სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე არა უმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა). სტუდენტის სავალდებულო დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის დარეგისტრირება/ათვისება.

სასწავლო წელი ორსემესტრიანია. თითოეული სემესტრი მოიცავს 19 კვირას,

საიდანაც:

15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას;

3 კვირა – ძირითად საგამოცდო სესიებს;

1 კვირა – დამატებით საგამოცდო სესიებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, სტუდენტი ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ორი კვირის ვადაში გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს ელექტრონულად ძირითადი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას. სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში (დასაბუთებული განცხადების წარმოდგენისას) მხოლოდ ერთხელ შეიტანოს ცვლილება

დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტის მიერ უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მე-4 სემესტრისა, ძირითად საგამოცდო პერიოდში. დამატებით სპეციალობაზე რეგისტრაციისათვის სტუდენტი მიმართავს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მართვის დეპარტამენტს და ავსებს შესაბამის ფორმას. ამ სტრუქტურული ერთეულის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტთა დამატებით სპეციალობაზე რეგისტრაციის შესახებ. სტუდენტის მიერ დამატებითი სპეციალობის ფარგლებში დარეგისტრირებული საგნები/მოდულები აისახება აგრეთვე, ელექტრონული რეგისტრაციის ფორმაში. არჩეული დამატებითი სპეციალობის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის (სემესტრის) დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა. სტუდენტი უფლებამოსილია ასევე: არჩევითი კურსი/მოდული, რომელიც აირჩია და გაიარა წინა სემესტრში, მაგრამ ჩაიჭრა, შეცვალოს იმავე ოდენობით კრედიტის მქონე სხვა არჩევითი სასწავლო კურსით/მოდულით; შეფასების გაუმჯობესების მიზნით ხელახლა დაარეგისტრიროს და ისწავლოს იგივე სასწავლო კურსი, ასეთ შემთხვევაში სტუდენტს საბოლოო შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი. ამ მუხლში აღნიშნული უფლებებით სტუდენტი სარგებლობს საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადაში და სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

სტუდენტს, უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი/მოდული, თუკი

მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი „(F) ჩაიჭრა“ შეფასება, ხოლო მე-4 სემესტრის მაგისტრანტი, რომელსაც აქვს აკადემიური დავალიანება სასწავლო კომპონენტის სახით, უფლებამოსილია მიმდინარე სემესტრში დაარეგისტრიროს იგი კვლევით კომპონენტთან (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება) ერთად იმის გათვალისწინებით, რომ ერთ სასწავლო წელში ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 75 კრედიტს. ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი უფლებამოსილია გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის აპრობაცია, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მისი დაშვება განისაზღვრება მას შემდეგ, როცა სრულად ექნება შესრულებული სასწავლო კომპონენტი. სასწავლო კურსში/მოდულში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს

აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის დარეგისტრირების მიზნით.

სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი. კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების აღების პირობები განისაზღვრება სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის (დანართი 2).

სტუდენტის შეფასება

ბსუ-ში გამოიყენება სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. $GPA = \frac{\sum GP \times CR}{\sum CR}$, სადა GP - წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას (ქულას), ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსში/მოდულში მიღწეული სწავლის შედეგები ფასდება მისი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების შეჯამების საფუძველზე.) სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა.

შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს:

შუალედურ გამოცდას - 20 ქულა;

მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა:

ა) წერით გამოკითხვებს (წერითი დავალება, ტესტი, რეზიუმე, ქვიზი, საშინაო დავალება, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსიდა სხვ.)- მაქსიმუმ 30 ქულა;

ბ) ზეპირ გამოკითხვებს(დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, სემინარი, აქტივობა და სხვ.)- მაქსიმუმ 20 ქულა;

გ) შეფასების სხვა სახის მეთოდს (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვ.) - მაქსიმუმ 15 ქულა;

შეფასების სხვა სახის კომპონენტს (პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.)- მაქსიმუმ 15 ქულა;

დასკვნითი შეფასების ფორმები: ა)

დასკვნითი გამოცდა;

ბ) სხვა სახის შეფასება;

შეფასების თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) ერთჯერადი წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) ერთჯერადი ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული ღია ტესტი ან მრავალპასუხიანი დახურული ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 1 ქულით;

დ) შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული დახურული ერთპასუხიანი ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 0.5 ქულით;

რეკომენდირებულია საგამოცდო ბილეთი იყოს კომბინირებული (მოიცავდეს სხვადასხვა სირთულის თემებს, კითხვებს, სიტუაციურ ამოცანებს, ღია და დახურულ ტესტებს და სხვა) და ჩატარდეს წერითი ფორმით;

პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ ნაშრომის შემთხვევაში შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის შესაძლებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეფასების კომპონენტებისაგან

განსხვავებული კომპონენტების გამოყენება;

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის

შემთხვევაში - 21 ქულა);

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა);

სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში, რომლის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგნაირად:

ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა

გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ბსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას და ბსუ-ს ეთიკის კოდექსს;

ბ) დასკვნით გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადაულახაობა;

ბსუ-ში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. $GPA = \sum GP \times CR / \sum CR$, სადა GP - წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას (ქულას), ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს (**დანართი 2**).

შიდა მობილობა

ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია ბსუ-ში ერთი საგანმანათლებლო ერთეულიდან (ფაკულტეტიდან)/პროგრამიდან გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე (ფაკულტეტზე)/პროგრამაზე (შიდა მობილობა). აღნიშნული უფლებით ბსუ-ს სტუდენტმა შესაძლებელი ისარგებლოს ბსუ-ში სწავლების პირველი სემესტრის შემდეგ, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ შიდა მობილობის პერიოდში. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს ასევე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირებს. (**დანართი 9, ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის 01-08/38 ბრძანება**)

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომი

პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი) და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით.

კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას (დანართი 2 ის მე-17 მუხლი).

საუნივერსიტეტო სტიპენდიები

ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნა და გაცემა რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესით (იხილეთ დანართი 4)

ბსუ-ს სტიპენდიები ენიშნებათ:

ა) ბსუ-ს ბაკალავრიატის პირველი სასწავლო წლის სტუდენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდებით სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) პირველ ნომრად მითითებულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე და, ამასთან, ვისაც მეოთხე დამატებით გამოცდაზე მიღებული აქვს ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი (სკალირებული) ქულა. სტიპენდია (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) გაიცემა პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში 1 ოქტომბრიდან თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

ბ) „ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის“ (ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება არანაკლებ „ძალიან კარგი“).

გ) „ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“ (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე სემესტრიდან ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც წინა სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება „ფრიადი“).

დ) „სახელობითი სტიპენდია“ (ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) შესაბამის ფაკულტეტებზე, ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში „საშუალომწიფონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).

ე) ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია (312 ლარის და 50 თეთრის ოდენობით) - ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები და გამოირჩევიან სწავლაში წარმატებებით (შეფასებები 81 ქულა და მეტი). სტიპენდია ინიშნება სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), თუ გასული სასწავლო წლის (წლების) განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში მიღებული აქვს

შეფასება „კარგი“ (შეფასებები 81 ქულა და მეტი). სტიპენდიის მისაღები პერიოდი მოიცავს შესაბამისი სასწავლო წლის ოქტომბრიდან ივლისის ჩათვლით პერიოდს.

ვ) საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია (200 ლარის ოდენობით 1. შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია; 2. ხუსეინ ნაკაიძის სახელობის სტიპენდია) - სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) შესაბამის ფაკულტეტებზე, ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში „საშუალოშეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).

ზ) გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის ერთჯერადი სტიპენდია - ბსუ-ს სტუდენტის მიერ უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების შესაბამისად გამოიცემა რექტორის ბრძანება ერთჯერადი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. სტიპენდიის ოდენობა არის სტუდენტისათვის აღიარებული კრედიტების საფასურის ექვივალენტი... სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების გამოცემის საფუძველია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი და სტუდენტის განცხადება.

სტუდენტის სტატუსის შეჩერება

.სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:

- ა) პირადი განცხადება (აკადემიურ შვებულებაში გასვლა);
- ბ) ავადმყოფობა;
- გ) უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
- დ) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობა;
- ე) აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.

„ა“ „ბ“ და „გ“ ქვეკუნქტების საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის (სემესტრის) დაწყებიდან არა უგვიანეს 45 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტუდენტის სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობისა და სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა ხდება იმ გარემოებათა აღმოფხვრის შედეგად, რაც საფუძველად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემას, მაგრამ არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან 45 დღისა (დანართი 3).

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

- ა) პირადი განცხადება;

- ბ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
- გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვა, გარდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა;
- დ) გამოცდაზე სხვა სტუდენტის ნაცვლად შესვლა ან მის ნაცვლად გამოცდის სხვა პირის მიერ ჩაბარების მცდელობა.
- ე) ერთი და იმავე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერმიღება;
- ვ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
- ზ) გარდაცვალება;
- თ) პროგრამის ოპტიმალური ვადის ამოწურვის შემდეგ დამატებით სემესტრში/სასწავლო წელს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;
- ი) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ დამატებით სასწავლო წელს (სემესტრში) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
- კ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით განსაზღვრული სხვა შემთხვევები (დანართი 2-ის მე-4 მუხლი).

სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიწყვიტოს ან შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობით/შიდა მობილობით;
- დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებში;
- ე) მიიღოს კონსულტაცია ბსუ-ს უფლებამოსილი პირისგან საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე;
- ვ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამოცდების შედეგები.

სტუდენტი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (ელექტრონულად დაარეგისტრიროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) და შეასრულოს შესაბამისი სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაო;
- ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა;

გ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ბსუ-ში სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია);

დ) სისტემატიურად ისარგებლოს „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით, რომლის საშუალებითაც მიეწოდება მას უნივერსიტეტისაგან გაგზავნილი შეტყობინებები ან/და ინფორმაცია შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge.) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“)

ვ) ჯეროვნად შეასრულოს უნივერსიტეტის აქტებით, მოქმედი კანონმდებლობითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები (**დანართი 2-ის მე-6 მუხლი**).

სტუდენტის წახალისება

სწავლასა და სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი სახეები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემა ;

გ) ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

დ) რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობისათვის გაგზავნის სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

მადლობის გამოცხადების უფლება აქვს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტების დეკანებსა და უნივერსიტეტის რექტორს.

ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემის თაობაზე გამოიციმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ან სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის ან სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (**დანართი 6-ის მე-13 მუხლი**).

დისციპლინური სახდელი

დისციპლინური სახდელი სტუდენტს შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის საფუძველზე, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად. ეს შეიძლება იყოს:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) უნივერსიტეტის სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა;

შენიშვნა შეიძლება შეეფარდოს სტუდენტს ან მსმენელს, რომელმაც: ა)

ჩაიდინა არაეთიკური საქციელი;

ბ) დააზიანა უნივერსიტეტის ქონება, რომლის ღირებულება არ აღემატება 100 ლარს (ასეთ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია აანაზღაუროს უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანიც);

გ) ხელი შეუშალა ან ჩაშალა აუდიტორიული მეცადინეობა;

დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაავრცელა პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის

ლიტერატურა, სააგიტაციო ფურცლები და პროკლამაციები;

ე) დააზიანა მისი ან სხვა სტუდენტის მოწმობა;

ვ) დააზიანა ბსუ-ს ტერიტორიაზე (შენობებში) გამოქვეყნებული განცხადებები/აქტები;

ზ) მოწია თამბაქო უნივერსიტეტის შენობაში.

გაფრთხილება შეიძლება შეეფარდოს სტუდენტს ან მსმენელს, რომელიც:

ა) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსვლისა და ქცევის წესებს (აკრძალვებს) არღვევს სისტემატურად (ორი და მეტი შემთხვევა);

ბ) შემოვა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში;

გ) ჩაშლის გამოცდას;

დ) უნებართვოდ აიღებს უნივერსიტეტში დაცულ დოკუმენტაციას ან/და გაანადგურებს მათ; ე) დააზიანებს უნივერსიტეტის ქონებას, თუ ზარალი აღემატება 100 ლარს (ასეთ შემთხვევაში დამრღვევ პირს დისციპლინურ სახდელთან ერთად დაეკისრება უნივერსიტეტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაც);

ვ) ამოღებულია;

ზ) დისციპლინური სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას.

უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელი შეეფარდება სტუდენტს, რომელიც:

ა) ჩაიდენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომლისთვისაც შეეფარდა ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა; ბ) ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას, რისთვისაც შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი – გაფრთხილება.

გ) შევა გამოცდაზე სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს (**დანართი 6-ის მე-16 მუხლი**).

სტუდენტი და ეთიკა

სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე/სემინარზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);

ბ) აკადემიური სიყალბე (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც პროფესორის/მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული, სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა, კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება, ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა, პლაგიატი - სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა

და წყაროს მითითების გარეშე ან საბაკალავრო/სამაგისტრო/ თეზისის ყიდვა. გ)

სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;

ე) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის მიერ სხვისი გამოცდის ჩაბარების ფაქტის დამალვა და ხელშეწყობა;

ი) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება/გამოყენება;

- კ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;
 - ლ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა.
 - მ) ცრუმოწმეობა;
 - ნ) ძალადობა (სიტყვიერი და ფიზიკური), ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებისათვის, ბილწსიტყვაობა;
 - ო) განგებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება (ხანძრის, აფეთქების, მუქარის ან სხვა მოვლენების შესახებ);
 - პ) ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე დაგვიანება.
- აუდიტორიაში სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია პროფესორ/მასწავლებელი, რომელიც უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს აუდიტორიის დატოვება (დანართი 7).